

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საორგანიზაციო საქმიანობა

სამეცნიერო-საორგანიზაციო ღონისძიებები. მომზადდა და გამოიცა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. წლიური ანგარიში 2006“. ანგარიში ძირითადად ასახავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების სამეცნიერო საქმიანობას.

2005 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ განიხილა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების – საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამეცნიერო საქმიანობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის თანახმად 69 სამეცნიერო დაწესებულებამ წარმოადგინა 2006 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში. ანგარიშები გადაეცათ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს, რომლებმაც ანგარიშების შესაფასებლად გამოყვეს ექსპერტები. სულ საექსპერტო შეფასებისათვის მოწვეული იყო 72 მეცნიერი, მათ შორის აკადემიის 36 წევრი (ცხრილი 2).

სამეცნიერო განყოფილებების მიერ საექსპერტო დასკვნების განხილვის საფუძველზე 69 სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საქმიანობა შეფასდა დადებითად.

ექსპერტები
 საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახელმწიფო
 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო
 საქმიანობის შესაფასებლად

№	სამეცნიერო დაწესებულება	ექსპერტი
1	2	3
I. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება		
1.	ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	აკად. ნ.ვახანია
2.	ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. რ.ბანცური
3.	კიბერნეტიკის ინსტიტუტი	აკად.ნ.ვახანია აკად.წვერ-კორ. ა.ხელაშვილი
4.	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი	აკად. თ.სანაძე
5.	ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია	მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზ.-მათ.მეცნ. დოქტ. ა.ხანთაძე
6.	სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	აკად. თ.კოპალეიშვილი
II. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება		
7.	მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი	სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორი, ფიზ.-მათ.მეცნ.კანდ. ზ.ჯავახიშვილი
8.	ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტი	გეოლ.-მინ.მეცნ.დოქტ. გ.ბუაჩიძე
9.	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვ. შემსრ., ფიზ.-მათ.მეცნ. დოქტ. ნ.ბეგალიშვილი

1	2	3
10.	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვ.შემსრ., გეოგრ. მეცნ.კანდ. ნ.ბოლაშვილი; ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, გეოგრ. მეცნ.დოქტ. ე.წერეთელი
11.	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	გეოლ.-მინერ.მეცნ. დოქტ. გ.ბუაჩიძე
12.	სეისმური მონიტორინგის ცენტრი	აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე
13.	საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. ნ.ბეგალიშვილი
14.	კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი	აკად.წევრ-კორ. დ.შენგელია
III. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება		
15.	არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	აკად.წევრ-კორ. ა.ფრანგიშვილი
16.	კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ტექნ.მეცნ.დოქტ. რ.ცხვედაძე
17.	გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო საწარმოთა ავტომატიზაციის კათედრის გამგე, ტექნ.მეცნ.დოქტ. გ.ბუცხრიკიძე
18.	რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფ. თ.მჭედლიშვილი
19.	ინსტიტუტი „ტალღა“	ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. ნ.დოლიძე

1	2	3
20.	ინსტიტუტი „ტექნიფორმი“	არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის მართვის სისტემების, მოდელირებისა და კომპიუტერული გრაფიკის განყოფილების გამგე, ტექნ.მეცნ.კანდ. თ.ტროყაშვილი
21.	ინსტიტუტი „ოპტიკა“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რ.კანდელაკი
IV. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება		
22.	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	აკად.წევრ-კორ. შ.სამსონია
23.	რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი	აკად.წევრ-კორ. ვ.ციციშვილი
24.	იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. რ.მახარაძე
25.	ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ნ.წერეთელი და პროფ. მ.ოქროსაშვილი
26.	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	აკად.წევრ-კორ. ვ.ციციშვილი
V. ბიოლოგიის განყოფილება		
27.	ნიკო კეცხოველის ბოტანიკის ინსტიტუტი	აკად. ნ.ნუცუბიძე
28.	ზოოლოგიის ინსტიტუტი	ი.ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ბიოლ.მეცნ. დოქტ დ.თარხნიშვილი

1	2	3
29.	სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. თ.ზაალიშვილი
30.	მოდერნიზებული ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი	აკად. თ.ბერიძე
31.	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	აკად.წვერ-კორ. მ.გორდუზიანი
32.	ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი	სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლ.მეცნ.დოქტ. ნ.ომიძე
33.	გიორგი ელიავას ბაქტერიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფ.ველისაშვილი
VI. ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება		
34.	ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი	სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობა შეფასდა ექსპერტების დასკვნის გარეშე განყოფილების საერთო კრებაზე
35.	ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი	
36.	სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი	
37.	რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი	
38.	ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	
VII. სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება		
39.	თბილისის ბოტანიკური ბაღი	აკად. გ.გიგაური
40.	ბათუმის ბოტანიკური ბაღი	თბილისის ბოტანიკური ბაღის განყოფილების გამგე, ბიოლ.მეცნ.დოქტ. კ.ტულუში

1	2	3
41.	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი ე.კუხალაშვილი
42.	ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორები ა.აფციაური და გ.გაგოშიძე
43.	მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი ა.კოროხაშვილი
44.	მიხეილ რჩელიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტის დირექტორის მოვ.შემსრ. თ.ფირცხალაიშვილი
45.	მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორები მ.ვარძელაშვილი, შ.შათირიშვილი, ბ.აბაშიძე, საქ.მეცნ.აკად. წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
46.	კონსტანტინე ამირეჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორი დ.ნატროშვილი, საქ.მეცნ.აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
47.	ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, ბიოლ.მეცნ. დოქტ. ნ.ცინცაძე, სოფლის მეურნ.მეცნ.კანდ. კ.ბუაჩიძე, საქ.მეცნ.აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
48.	მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მეღვინეობის ინსტიტუტი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ო.ზარდალიშვილი, საქ.მეცნ.აკად.წევრ-კორ.: თ.ურუშაძე და პ.ნასყიდაშვილი

1	2	3
49.	მეფუტკრეობის ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, სოფლის მეურნ.მეცნ. დოქტ.ნ.მაისურაძე, საქ.მეცნ. აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
50.	იულონ ღომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესორები ც.სამადაშვილი, გ.კაპაბაძე, ზ.ტყეშუჩავა და რ.ძიძიშვილი, საქ.მეცნ. აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
51.	ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი	საქ.მეცნ.აკად.წევრ-კორესპონდენტები ვ.პაპუნია და პ.ნასყიდაშვილი
52.	კვების მრეწველობის ინსტიტუტი	ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ.გ.პაპუნია, საქ.მეცნ.აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
53.	მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტი	ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, სოფლ. მეურნ.მეცნ.დოქტ. შ.ყანჩაველი, აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
54.	სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი	ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, სოფლ. მეურნ.მეცნ.დოქტ. შ.ყანჩაველი, აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი
55.	აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი	რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რადიოეკოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესორი მ.ციციქიშვილი

1	2	3
VIII. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება		
56.	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი	აკად. რ.მეტრეველი
57.	საველე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი	აკად. გ.თევზაძე
58.	დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. დ.ჩარკვიანი
59.	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ლ.ჩიქავა
60.	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ვ.შამილაძე
61.	ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. კ.ფიცხელაური
62.	პოლიტოლოგიის ინსტიტუტი	აკად. ლ.ალექსიძე
63.	დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ა.სილაგაძე
64.	აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ვ.პაპავა
65.	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ჯ.ხეცურიანი
IX. ენისა და ლიტერატურის განყოფილება		
66.	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ე.ხინთიბიძე
67.	არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. რ.გორდუზიანი
68.	კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. გ.კვარაცხელია
69.	გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი	აკად.წვერ-კორ. ე.ჯაველიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2006 წელს ჩატარებული გამოკვლევების თაობაზე, რაც აისახა სამინისტროს მიერ მომზადებულ „2006 წელს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების დამტკიცების თაობაზე“ პრეზიდენტის განკარგულებისა და „2006 წლის გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების“ პროექტში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარედგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოსაზრებანი საქართველო-უკრაინის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის შესაძლო პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ.

წერილები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესაში, კერძოდ, გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“ და „Свободная Грузия“ ჟურნალისტ თებანოიძის ავტორობით.

ინფორმაციისა და საგარეო ურთიერთობების სამსახური. 2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დაპროექტდა, დამონტაჟდა და მწვობრში ჩადგა ახალი კომპიუტერული ქსელის სისტემა. აკადემიისათვის მოპოვებულ იქნა ინტერნეტის დომენი SCIENCE.ORG.GE. აღნიშნული ქსელის ძირითადი კომპონენტებია UNIX-ის ოპერაციულ სისტემაზე დამყარებული ელექტრონული ფოსტის სერვერი, აკადემიის WEB სერვერი, სხვა აუცილებელი სერვერები და IEEE 802.11 სტანდარტის უმაჯთულო ლოკალური ქსელი.

WEB სერვერზე განთავსდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ 2007 წლის სამი ნომერი. ელექტრონული ფოსტის სერვერზე აკადემიის თანამშრომლებისათვის გაიხსნა ელექტრონული

ფოსტის `firstname.familyname@SCIENCE.ORG.GE` ტიპის ინდივიდუალური მისამართები.

2007 წლის განმავლობაში შედგა აკადემიის პრეზიდენტის წევრების ვიზიტები უცხოეთში.

აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი აკად. ფრიდონ თოდუა მონაწილეობდა სუამის ქვეყნების კულტურის, მეცნიერების, განათლების, ახალგაზრდობის, სპორტის, აგრეთვე ტურიზმის საკითხებზე სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა შეხვედრაში, როგორც სამთავრობო დელეგაციის წევრი (17-20 ივნისი, ბაქო, აზერბაიჯანი).

აკად. როინ მეტრეველი მონაწილეობდა დსთ-ის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ისტორიის ინსტიტუტების ასოციაციის თათბირში (23-26 ივნისი, კიევი, უკრაინა).

აკად. გიორგი კვესიტაძე მონაწილეობდა იუნესკოს ეგიდით ჩატარებულ აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის აკადემიების კონფერენციაში (3-5 მაისი, კიშინიოვი, მოლდავეთი).

2007 წლის 10-12 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ვაცლავ პაჩეკი. 11 მაისს აკადემიის პრეზიდენტში მოეწყო შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან ვაცლავ პაჩეკთან, რომელმაც წაიკითხა მოხსენებები:

1. ჩეხეთის აკადემიის შესახებ;
2. ადამიანი და შიმპანზე: ენდოგენური რეტროვირუსული ელემენტების შედარებითი გენომიკა.

დაიღო ხელშეკრულება „ერთიერთგაგების მემორანდუმი სამეცნიერო თანამშრომლობის სფეროში ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის“.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მონტენეგროს აკადემიასთან.

ინტენსიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მეცნიერებთან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიას შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. საქართველოს მეცნიერები ინგლისში მივლინების დროს მუშაობდნენ ლონდონის, ოქსფორდის, კემბრიჯისა და სხვა უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო ფონდებში, ხვდებოდნენ ინგლისელ მეცნიერებს, ესწრებოდნენ საჯარო ლექციებს და თავადაც არაერთი საინტერესო ლექცია წაიკითხეს.

ასეთივე თანამშრომლობა გრძელდებოდა ავსტრიისა და ისრაელის მეცნიერებათა აკადემიებთან.

აკადემიის შემადგენლობა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგებოდა 56 ნამდვილი წევრისა და 53 წევრ-კორესპონდენტისაგან.

2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რიგებს გამოაკლდნენ თვალსაჩინო მეცნიერები. გარდაიცვალნენ აკადემიკოსები ქეთევან ლომთათიძე და თეიმურაზ ჭანიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები არჩილ ასათიანი, კონსტანტინე ბეთანელი, გრიგოლ თუმანიშვილი, ბორის ყურაშვილი, ტრაგიკულად დაიღუპა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ შარაძე.

აკადემიაში 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სულ იყო 112 თანამშრომელი, მათ შორის 16 აკადემიკოსი, 2 წევრ-კორესპონდენტი, 5 მეცნიერებათა დოქტორი და 18 მეცნიერებათა კანდიდატი. 29 თანამშრომელი მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე, მათ შორის აკად. გ.წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტში – 16. 12 თანამშრომელი მუშაობდა ხელშეკრულებით.

ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახ. მთავარ სამეცნიერო რედაქციაში იყო 46 თანამშრომელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეორგანიზაციის შედეგად, აპარატის ახალი სტრუქტურის შემოღებასთან დაკავშირებით (აკადემიის 2007 წლის 27 თებერვლის №17 ბრძანება), გაუქმდა აკადემიის აპარატის არასამეცნიერო თანამდებობათა არსებული სტრუქტურა და საშტატო განრიგი და მათ ნაცვლად შემოღებულ იქნა ახალი სტრუქტურა. აკადემიის აპარატში ჩატარებული ღია კონკურსის შედეგად 2007 წლის 16 ივლისიდან დაკავებულ იქნა 27 ვაკანტური თანამდებობა. გასაუბრების საფუძველზე თანამდებობებზე დაინიშნა 6 თანამშრომელი, დატოვებული იქნა იმავე თანამდებობაზე – 5. შტატების შემცირების გამო დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 38 თანამშრომელი (აკადემიის პრეზიდიუმის 2007 წლის 16 ივლისის №10-პ ბრძანება).

საარქივო საქმიანობა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი ფუნქციონირებს აკადემიის დაარსების დღიდან და სარგებლობს საარქივო დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლებით (საქართველოში მხოლოდ 7 არქივს აქვს მინიჭებული ასეთი უფლება).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში დაცულია მასალები 1917 წლიდან დღემდე, მათ შორის, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის, აკადემიის პრეზიდიუმის, აკადემიის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო-ტექნიკური, საცნობარო, კინო-, ფოტო-, ფონოლოკუმენტები, აუდიო-, ვიდეო- და კომპაქტდისკები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებისა და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა პირადი ფონდები. მთლიანად არქივში დაცულია 100000-მდე შესანახი ერთეული.

2007 წელს დამუშავდა ცნობილი მეცნიერების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის გვორონინის, აკად. ტ.კვარაცხელიასა და პროფ. გ.მჭედლიშვილის პირადი არქივები. მომართვის საფუძველზე არქივის სამეცნიერო მასალებით ისარგებლა 56 მეცნიერმა, მათ შორის, უცხოელმა ქართველოლოგებმა. აკადემიის განყოფილებებზე დროებითი სარგებლობისათვის გაიცა 128 საქმე, ხოლო დაწესებულებებსა და კერძო პირებს – 104 ცნობა.

აკადემიის დაფინანსება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2007 წლის დამტკიცებული დაფინანსება შეადგენდა 1269 ათას ლარს. წლის განმავლობაში დაფინანსების გეგმა გადიდა ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის აკადემიის შენობაში გადმოსვლასთან დაკავშირებით კაპიტალური შეკეთებისათვის დამატებით გამოყოფილი დაფინანსების თანხით – 50 ათასი ლარით და შემცირდა გ.ნიორაძის სახ. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის აკადემიის დაქვემდებარებიდან გასვლის გამო 25 ათასი ლარით. აღნიშნული დაზუსტებების შემდეგ აკადემიის 2007 წლის დაფინანსების გეგმა შეადგენდა 1294 ათას ლარს. დაფინანსება და ხარჯები მუხლობრივად მოყვანილია ცხრილში 3.

ცხრილი 3.

2007 წლის დაფინანსება

დაფინანსება	ათასი ლარი
1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	1110
2. ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია	150
3. გ.ნიორაძის სახ. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი	26
4. აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი	8
სულ	1294

